დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსების – სასერტიფიკატო, ტრენინგ–კურსის დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურა[1]

მუხლი 1. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამას (მოდული/კურსი), რომელიც ითვალისწინებს ახალი პროფესიული ან სხვა სახის ცოდნის შეძენას, უნარ–ჩვევების გაღრმავებას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელს ენიჭება შესაბამისი კურსის წარმატებით დასრულების სერტიფიკატი.

2. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ–კურსი არის მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსი, რომელიც ორიენტირებულია მსმენელთა სხვადასხვა კომპეტენციის, უნარ–ჩვევის გაღრმავებაზე და რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა კურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

3. აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსი წარმოადგენს სხვადასხვა ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამას (მოდული/კურსი), რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების აკადემიურ პროგრამებში (საბაკალავრო/სამაგისტრო) ჩართვისათვის მოსამზადებლად საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენასა და გაღრმავებას. კურსის დასრულების შემდეგ არ გაიცემა სერტიფიკატი.

მუხლი 2. უწყვეტი განათლების კურსების დამტკიცებისა და განხორციელების პროცედურა

1. უწყვეტი განათლების კურსი მუშავდება თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის ინიციატივით ან მასთან შეთანხმებით კურსის აქტუალობის გათვალისწინებით.

2. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსის/საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების ტრენინგ–კურსის (შემდგომში ,,უწყვეტი განათლების კურსი“) ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი,

[1] პროცედურა არ ეხება საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს გარდა იმ კურსებისა, რომლებიც მუხლი 1 და 2-ში მოყვანილ აღწერილობებს შეესაბამება.

ასოცირებული, ასისტენტ–პროფესორი, დოქტორანტი ან ცენტრის მიერ მოწვეული სპეციალისტი.

3. უწყვეტი განათლების კურსის განხორციელებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს უნივერსიტეტის პროფესორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ასისტენტ–პროფესორმა, დოქტორანტმა ან ცენტრის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა, რომლის კურსის მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი კომპეტენციები დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

4. უწყვეტი განათლების კურსის წარმდგენმა, ცენტრის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო ფორმის მიხედვით (იხ. დანართები დანართი1 დანართი2) უნდა წარუდგინოს ცენტრს კურსის და კურსის განხორციელებაში მონაწილე პირების ბიოგრაფიული მონაცემები, სადაც ასახული იქნება კურსის მიზნების მიღწევისათვის შესაბამისი, სწავლების, კვლევის ან მუშაობის გამოცდილება.

5. უწყვეტი განათლების კურსის წარმდგენის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ცენტრი ამოწმებს მის შესაბამისობას საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსისთვის დადგენილ მოთხოვნებთან. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, იგი პროგრამის წარმდგენს მიუთითებს დარღვევის არსებობის შესახებ და სთხოვს დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენას.

6. ცენტრი უწყვეტი განათლების კურსს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზისათვის წარადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროების შემთხვევაში კურსს ექსპერტიზისათვის უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის შემთხვევაში ცენტრი აღნიშნული შენიშვნების შესახებ აცნობებს უწყვეტი განათლების კურსის ხელმძღვანელს და სთხოვს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ან დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის წარმოდგენას.

8. თუ უწყვეტი განათლების კურსის ხელმძღვანელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, უწყვეტი განათლების ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წარდგენილი კურსის განუხილველად დატოვების შესახებ.

9. შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ ცენტრი უწყვეტი განათლების კურსს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.

10. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით კურსის დამტკიცების შემდეგ, კურსის ფასიანი მომსახურებისა და ანაზღაურების განსაზღვრისათვის ცენტრი შესაბამის წარდგინებას აკეთებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე. ხსენებული წარდგინების საფუძველზე გაიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება კურსის ფასიანი მომსახურებისა და ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით.

11. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული უწყვეტი განათლების კურსის ადმინისტრირებას ახდენს უწყვეტი განათლების ცენტრი.

12. კურსით დაინტერესებისა და მსმენელთა სათანადო რაოდენობით ჯგუფის დაკომპლექტების შემდეგ ცენტრი უზრუნველყოფს პედაგოგებთან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად წარდგინებების გაკეთებას, მეცადინეობების განრიგის შედგენას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მომზადებას.

13. ცენტრი მონიტორინგს უწევს კურსის განხორციელებას.

14. ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი სერტიფიკატების დამზადებას.

15. კურსის დასრულების შემდეგ ცენტრი მის მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით ახდენს მსმენელთა და პედაგოგების შეფასებებისა და თვითშეფასების შეგროვებას და ანალიზს კურსის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების კურსის გაუქმებულად გამოცხადება

1. ოფიციალურად დამტკიცებული კურსი, რომელიც არ განხორციელდება დამტკიცებიდან 2 წლის განმავლობაში ავტომატურ რეჟიმში გამოცხადდება გაუქმებულად.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა ოფიციალურად დამტკიცებული კურსის გაუქმება ხორციელდება კურსის დამტკიცებისათვის კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით. კურსის დამტკიცების შესახებ ბრძანების გაუქმების შემთხვევაში გაუქმებას ასევე ექვემდებარება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება კურსის ფასიანი მომსახურებისა და ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.